მესამე კლასი
მიმოხილვა, ფინალი

ტესტის ჯამური ქულაა 100. თემატურად იყოფა ორ ნაწილად. ტესტი შედგება არჩევითპასუხიანი 30 დავალებისგან.

I ნაწილი – ტექსტის გააზრება.

ტესტში წარმოდგენილია საკლასო ასაკობრივი კატეგორიის შესაბამისი ტექსტი ან ნაწყვეტი, რომელიც მოსწავლემ უნდა წაიკითხოს და გააანალიზოს. მას უნდა შეეძლოს ინფორმაციის სწორად აღქმა, დეტალების შემჩნევა, ფაქტების გარჩევა და ტექსტის მთავარი აზრის განსაზღვრა. ტექსტზე დაყრდნობით მოსწავლემ უნდა შეძლოს შესაბამისი დასკვნების გამოტანა.

II ნაწილი – ლექსიკა, ფრაზეოლოგია და გრამატიკა.

ტესტის მეორე ნაწილი მოიცავს გრამატიკულ და ლექსიკურ დავალებებს. ტესტში მოსწავლემ უნდა განსაზღვროს ბგერების, ხმოვნების/თანხმოვნების რაოდენობა სიტყვაში, იცნობდეს სიტყვების მნიშვნელობებს, იცოდეს ელემენტარული მართლწერის წესები და აირჩიოს სწორად მსგავსი/საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები. ასევე, შეგხვდებათ დავალებები ზმნის მარტივი დროებისა და ფორმების სწორად გამოყენებასთან დაკავშირებით და დავალებები მიმართვის თავაზიან ფორმებზე, საერთო მარცვლისა და წელიწადის დროების შესახებ.

მაგალითი:

რომელი სიტყვაა არასწორად დაწერილი?

ა) კალმები
ბ) ბავშვები
გ) ფურტკარი
დ) წიგნები

რომელია თავაზიანი მიმართვის ფორმა?

ა) წადი ბ) **დაბრძანდით** გ) გადი დ) დაჯექი